

ახალი ტენდეციები და რეკომენდაციები კომპიუტერული მეცნიერების
კურიკულუმისათვის

მანანა ხაჩიძე,
კობა გელაშვილი
E-mail: manana.khacidze@tsu.ge
koba.gelashvili@tsu.ge

კომპიუტერული მეცნიერებები, თსუ, ჭავჭავაძის პრ. 3

40 წლია გრძელდება კომპიუტინგში სასწავლო გეგმების (კურიკულუმების) შემუშავების და დახვეწის პროცესი, რომელიც ინიცირებულია და ხორციელდება წამყვანი პროფესიული საზოგადოებების Computing-ACM და IEEE-კომპიუტერული საზოგადოების მიერ. კომპიუტინგის სფეროს ზრდასთან ერთად იზრდება კურიკულუმის რეკომენდაციები კომპიუტინგში შემავალი ყველა მიმართულებისათვის: კომპიუტერული ინჟინერია, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ინფორმაციული სისტემები და პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია. თსუ-ს პროფესორთა ჯგუფი 2006 წლიდან აქტიურადაა ჩართული ამ პროცესში.

2013 წლიდან ACD ახდენს, იმ ცოდნის ერთეულების ხელახალ განსაზღვრას, რომელიც წარმოადგენს კომპიუტერული მეცნიერების კურიკულუმისათვის აუცილებელ საფუძვლებს. კომპიუტერული მეცნიერების კურიკულუმის შემუშავების პროცესი ურთულესია, თუ გავითვალისწინებთ კომპიუტინგის სწრაფად განვითარებად და გაფართოებად არეს და მის ურთიერთობას სხვა დისციპლინებთან და მეცნიერების დარგებთან.